

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

1.2 წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტში: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, პროფესიული სტუდენტის უფლებამოვალეობების, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს, კარიერულ სერვისებს, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერას, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.3 საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებებით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიხედვით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- **ავტორიზაცია** - კოლეჯის სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;
- **აპლიკანტი** – პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს ან/და რომელიც პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ

- ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით“ დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- **არაფორმალური განათლება** - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას;
 - **ასოცირებული ხარისხი** - კვალიფიკაცია, რომელიც პირს ენიჭება მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვების შედეგად;
 - **გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტი** - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი, რომელმაც დაძლია ქართული ენის მოდული/მოდულები
 - **დიპლომი** - უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - **დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი** - დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;
 - **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** - შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;
 - **ინკლუზიური პროფესიული განათლება** - თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;
 - **კვალიფიკაცია** - უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით - დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;
 - **კომპეტენცია** - სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა;

- **კრედიტი** - ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;
- **მოდული** - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;
- **მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა** - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე;
- **მსმენელი** - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე;
- **პროფესიის სტანდარტი** - კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებული ამოცანებისა და მოვალეობების ერთობლიობა;
- **პროფესიული განათლება** - განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პირისთვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც/რომლებსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და რომელიც/რომლებიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ;
- **პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი** - დიპლომი, სერტიფიკატი;
- **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი** - იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები;
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

- **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი** - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში);
- **პროფესიული სტუდენტი** - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- **პროფესიული სტუდენტის მობილობა** - პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;
- **რეგულირებადი პროფესია** - საქმიანობა, რომლის განხორციელების წინაპირობაა შესაბამისი კვალიფიკაციის ქონა ან/და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და რომლის განსახორციელებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან/და პერიოდული პროფესიული გადამზადება;
- **საგანმანათლებლო დაწესებულება** - საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ნებისმიერი სახის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისა და პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მქონე კოლეჯი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- **სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ანდა რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით);
- **სასწავლო საწარმო** - პირი, რომელმაც მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების უფლება;

- **სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდული** - საგანმანათლებლო პროგრამა/მოდული, რომლის მიზანია სახელმწიფო ენის სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაძლევის მიზნებისთვის ან/და იმ პირთა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის;
- **სერტიფიკატი** - უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას;
- **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი** - პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;
- **სწავლის შედეგი** - განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება შესახებ);
- **ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემა** - ღონისძიებათა ფართო სპექტრი, რომელიც პირს ეხმარება, ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა;
- **ფორმალური განათლება** - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით - დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

3.1 უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მიღებას ახორციელებს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებისათვის დადგენილი ვადების განსაზღვრის შემდეგ.

3.2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, აგრეთვე ცალკეულ მოდულებზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამითა და მოდულებით დადგენილ წინაპირობებს, კერძოდ;

ა) პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დაიშვება საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბ) პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დაიშვება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

გ) პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

დ) პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, დაიშვება უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ე) პროფესიულ მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით დადგენილ პირობებს.

3.3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველს წარმოადგენს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების შედეგები.

3.4 უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) აპლიკანტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორი ასლი; ქმედუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი აპლიკანტის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; არასრულწლოვანმა, დამატებით უნდა წარმოადგინოს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჭიროების შემთხვევაში მზრუნველობის შესახებ მშობლის მიერ გაცემული ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი (მინდობილობა);

ბ) საბაზო საფეხურის/სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი ან/და ასლი ნოტარიულად დადასტურებული, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების ან/და სრული ზოგადი

განათლების დაძლევის გარეშე, თუ სრული ზოგადი განათლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;

გ) არასრულწლოვანმა აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ასევე დაბადების მოწმობა ან/და ასლი;

დ) ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4 (ელექტრონული ვერსია CD დისკზე);

ე) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

ვ) პირმა, რომელსაც ზოგადი განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი (რაც რეგულირდება: 2009 წლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 19 მარტის ბრძანება N147, „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“);

ზ) უნივერსიტეტის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და ამ მუხლის გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან 2 დღის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს.

3.5 უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემდეგ, ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება რექტორსა და პროფესიულ სტუდენტს შორის. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე - ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

3.6 თუ პროფესიული სტუდენტი არასრულწლოვანია, ხელშეკრულება ფორმდება მის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან.

3.7 აპლიკანტი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა პროფესიული ტესტირება და დაწესებულ ვადებში უნივერსიტეტში არ წარმოადგინა ამ მუხლის 3.4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, პროფესიულ პროგრამაზე არ ჩაირიცხება.

3.8 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის/ბრძანების გამოცემის შემდეგ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის სპეციალისტის მიერ სტუდენტის პირადი ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ხოლო ჩარიცხული სტუდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გადაეგზავნება შესაბამის ფაკულტეტებს.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, რომლებმაც სწავლის უფლება მოიპოვეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების შედეგების საფუძველზე

4.1 საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტებს, რომლებმაც პროფესიული ტესტირება ჩააბარეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე, სასწავლო პროცესი ეწყებათ მოდულით „ქართული ენა A2“.

4.2 საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასა და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტებს, რომლებმაც პროფესიული ტესტირება ჩააბარეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე სასწავლო პროცესი ეწყებათ ქართული ენის

მოდულებით (ქართული ენა A2, ქართული ენა B1) („პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.) „ქართული ენა A2“ მოდულის დაძლევის შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს მოდულზე „ქართული ენა B1“;

4.3 „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულების დაძლევის შემთხვევაში სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და მას უფლება აქვს:

ა) სწავლა განაგრძოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი პროფესიული ტესტირების ფარგლებში ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული იმ სწავლის სფეროს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;

დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

4.4 გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ აკლდება უნივერსიტეტში მომდევნო მიღებისას დადგენილ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას;

4.5 პროფესიული სტუდენტის მიერ „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ სწავლის შედეგების დაუძლეველობის შემთხვევაში ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

მუხლი 5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტის ჩარიცხვა

5.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის ალტერნატიული წესით ტესტირების საჭიროება და აღნიშნულ ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება წარმოიშობა მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.

5.2 უნივერსიტეტის რექტორი მინისტრის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის საფუძველზე 3 დღის ვადაში, პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წინამდებარე წესის 3.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ჩარიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან.

5.3 ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს სამი დღისა, მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში, აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

6.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი;
- ბ) დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება;
- გ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
- დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
- ე) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა;
- ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობის საკონტაქტო საათების 50 %-ზე მეტის გაცდენა არასაპატიო მიზეზით;
- ზ) პროფესიული პროგრამის დასრულების მომენტში მინიმუმ 1 სწავლის შედეგის მიუღწევლობა;
- თ) საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმება, რის შემთხვევაშიც პროფესიულ სტუდენტებს უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვთ ისარგებლონ მობილობით;
- ი) სხვა ისეთი ობიექტური გარემოების არსებობა, რომელიც პროფესიულ სტუდენტს ხელს უშლის სწავლის გაგრძელებაში.

6.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა შეჩერების მომენტიდან 3 წელი.

6.3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით.

6.4 ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას პროფესიული სტუდენტი/სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, წერილობითი განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს და ითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება კონკრეტული ვადით.

6.5 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს სამი დღისა, მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

7.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

7.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის (3 წელი) გასვლა, თუ არ მოხდა სტუდენტის სტატუსის აღდგენა;
- ბ) პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
- გ) პროგრამის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება;
- დ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;
- ე) უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- ვ) გარდაცვალება;
- ზ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

7.3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს სამი დღისა, მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 8. მობილობის წესით ჩარიცხვა

8.1 მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) ერთი

და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში და არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

8.2 გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტი.

8.3 მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

8.4 მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

8.5 უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამაზე გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს რექტორს, განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

8.6 უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამაზე შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს რექტორს განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

8.7 აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში გავლილი მოდულები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. მიღებული განათლების აღიარება მოხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

8.8 აღიარებას ექვემდებარება ის მიღწეული სწავლის შედეგები, რომლის შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შეიძლება დადგინდეს ერთი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, მათი ფორმულირების მიუხედავად.

8.9 მობილობით ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია უნივერსიტეტს დამატებით წარუდგინოს;

- ა) პროფესიული სტუდენტის შეფასების ამონაწერი (სასწავლო ბარათი);
- ბ) პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება;
- გ) ცნობა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების ბრძანებიდან.

8.10 მოდულების აღიარების მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაბამის ფაკულტეტზე იქმნება საფაკულტეტო კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი მოდულების აღიარების შესახებ და ამზადებს დასკვნას ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – იმავე დაწესებულების სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები

და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

8.11 პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, უფლება აქვს:

ა) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს სხვა დაწესებულებაში „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული იმ სწავლის სფეროს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც ჩაირიცხა და სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;

ბ) ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

8.12 ამ მუხლის 8.11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღუდგება პირადი განცხადების საფუძველზე, ამ წესის შესაბამისად ჩატარებული შემდგომი პროფესიული ტესტირების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე.

8.13 თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის უნივერსიტეტი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

8.14 უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

ა) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) პროფესიული ტესტირების შედეგად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა 5-ზე ნაკლები სტუდენტი.

8.15 მობილობის შედეგად სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს სამი დღისა, მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

8.16 პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროფესიული პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

8.17 პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ

დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

9.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისათვის სტატუსშეჩერებულმა პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.

9.2 სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ ის პროფესიული პროგრამა, რომელზეც სწავლობდა პროფესიული სტუდენტი, გაუქმებულია იმ მომენტისთვის მას შეეთავაზება უნივერსიტეტში არსებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული პროგრამებიდან ალტერნატიული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

9.3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს სამი დღისა, მონაცემები შეიტანება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 10. არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება

1. არაფორმალური განათლება და მისი აღიარების მიზნები

1. არაფორმალური განათლება არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას.

2. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანია, არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის (შემდეგში – მაძიებლისთვის), ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პროფესიული განვითარების, სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვითდასაქმების ხელშეწყობისთვის.

2. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი

1. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) განცხადების წარდგენა;
- ბ) კონსულტირება/დოკუმენტირება;
- გ) შეფასება;
- დ) გადაწყვეტილების მიღება.

2. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტი ამ წესის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამ წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული განცხადებისა და დანართი №2-ით გათვალისწინებული მაძიებლის კონსულტირების ფორმის (შემდგომში – კონსულტირების ფორმა) შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით ქმნის აღიარების კომისიას (შემდგომში – კომისია).

3. კომისიის გადაწყვეტილებით, შეფასების ეტაპი შეიძლება მოიცავდეს გამოცდას.

4. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს არაფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის, ამ წესისა და მის საფუძველზე განსაზღვრული დოკუმენტაციის/სამართლებრივი აქტების დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

3. განცხადების წარდგენა

1. მაძიებელმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნივერსიტეტს უნდა წარუდგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არსებობის შემთხვევაში, არაფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი: შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლი, სამუშაოს აღწერილობა, ცნობა სამუშაო ადგილიდან, სერტიფიკატი და ა.შ.

2. განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) მაძიებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) ელ-ფოსტას;

დ) ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ მაძიებლის მოთხოვნას, მისი დასაქმების/განათლების სფეროს, არაფორმალური განათლების აღიარების მიზანს;

ზ) მაძიებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. კონსულტირება/დოკუმენტირება

1. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ კონსულტირების მიზნით, მაძიებელი წერილობით მიმართავს უნივერსიტეტს.

2. კონსულტირება ხორციელდება კონსულტაციის გაწევაზე პასუხისმგებელი პირის (შემდგომში – კონსულტანტი) მიერ.

3. კონსულტანტი არის სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად სერტიფიცირებული პირი.

4. კონსულტანტი უზრუნველყოფს მაძიებლის კონსულტირებას:

ა) არაფორმალური განათლების აღიარების მიზნების შესახებ;

ბ) არაფორმალური განათლების აღიარებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის, პროცედურების, ეტაპებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

გ) არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესახებ.

5. კონსულტირების შედეგად, კონსულტანტი ავსებს კონსულტირების ფორმას და მასთან ერთად კომისიის წინაშე წარადგენს ინფორმაციას მაძიებლისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ.

6. კონსულტირების ფორმის შევსებისას, კონსულტირების ეტაპზე კონსულტანტი განხილული თემებისა და შესაბამისი აქტივობების შესახებ მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ახდენს მაძიებლის გამოცდილების იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც იგი ადგენს არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული, თუ რომელი სწავლის შედეგ(ებ)ია იდენტიფიცირებული.

7. არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების იდენტიფიცირების შედეგად, კონსულტანტი ავსებს კონსულტირების ფორმას, რომელშიც მიეთითება: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის სწავლის შედეგ(ებ)ის დასახელება, არაფორმალურ გარემოში მიღწეული სწავლის შედეგი, მაძიებლის მიერ აღწერილი შესრულების კრიტერიუმი, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მითითებულ გარემოებებს.

8. კონსულტანტი კონსულტირების ფორმაში ასევე ასახავს ინფორმაციას მაძიებლის კომპეტენციების შესახებ და აღწერს მათ.

5. კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი

1. შეფასების პროცესის წარმართვისათვის უნივერსიტეტი ქმნის კომისიას, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან.

2. კომისიაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პირების წარმომადგენლობა:

ა) შესაბამისი სფეროს სპეციალისტი – დამსაქმებლების ან/და დამსაქმებელთა/დარგობრივი გაერთიანების წარმომადგენელი;

ბ) შესაბამისი სფეროს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

გ) უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

3. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია კომისიის შემადგენლობაში შეიყვანოს დამატებით სხვა პირ(ებ)ი.

4. კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კომისიის წევრები.

5. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

6. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭირეს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

8. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძველის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

9. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის

მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

6. კომისიის მიერ საკითხის შესწავლა, გადაწყვეტილების მიღება გამოცდის ჩატარების შესახებ

1. შეფასების ეტაპზე კომისია შეისწავლის მაძიებლის მიერ წარდგენილ კონსულტირების ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას და ადგენს სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობას.

2. კომისია უფლებამოსილია, მაძიებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენა და/ან მიიღოს გადაწყვეტილება არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების (მათ შორის სამუშაო ადგილზე დაკვირვების/გამოცდის) და/ან სხვა ტიპის შეფასების) შესახებ. ასევე, კონსულტანტისგან გამოითხოვოს მაძიებლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

3. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების ან/და სხვა ტიპის შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად, კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს შეფასების ან/და გამოცდის ჩატარების ორგანიზების საკითხები ან/და შექმნას საგამოცდო კომისია ან/და განსაზღვროს შეფასების პროცესში/გამოცდაზე ჩასართავი პირი/პირები.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის წარმართვისათვის სავალდებულოა საგამოცდო კომისიის შექმნა.

7. მაძიებლის გამოცდა

1. საგამოცდო კომისია შედგება მასწავლებლებისგან და შესაბამისი სფეროს დამსაქმებლის წარმომადგენლებისაგან. საგამოცდო კომისიის მუშაობაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს კონსულტანტმა, საგამოცდო კომისიის თანხმობის საფუძველზე.

2. მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგამოცდო კომისიის წევრთა შორის არიან ინკლუზიური განათლების მიმართულების კომპეტენციის მქონე პირები, ხოლო საგამოცდო კომისია გამოცდის მეთოდების მოდიფიცირებას ახდენს მაძიებლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

3. დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მაძიებლის ინფორმირება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით შეფასების მეთოდების/ფორმებისა და პროცედურის შესახებ, ასევე გამოცდის/გამოცდების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ.

4. ასაღიარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირი ან/და პრაქტიკული დავალების შესრულებით. მაძიებლის პრაქტიკული კომპეტენციების შემოწმების მიზნით გამოცდა/შეფასება ტარდება საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და დამსაქმებლის ბაზაზე.

5. მაძიებლისთვის გამოცდის ჩატარების შემთხვევაში კომისია განიხილავს საგამოცდო კომისიის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგებს.

8. გადაწყვეტილების მიღება

1. არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელდება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან/და მოდულში განსაზღვრული სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასების და დადასტურების გზით.

2. კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ;
- ბ) არაფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების შესახებ;
- გ) არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

9. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:

- ა) დაწესებულების დასახელებას;
- ბ) მაძიებლის ვინაობას;
- გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;
- დ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

4. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა:

- ა) არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები დაადასტურა პირმა;
- ბ) არაფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები დაადასტურა პირმა, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები ვერ დაადასტურა პირმა, შესაბამისი დასაბუთებით;
- გ) არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები ვერ დაადასტურა პირმა შესაბამისი დასაბუთებით.

5. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება აღიარების დადასტურებაზე, ნაწილობრივ აღიარებაზე ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

6. არაფორმალური განათლების აღიარების დადასტურების შესახებ ბრძანების საფუძველზე დაწესებულების მიერ, მაძიებლის სახელზე გაიცემა:

- ა) მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში – სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი;
- ბ) მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად ვერდადასტურების შემთხვევაში – ცნობა დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;
- გ) მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში უნივერსიტეტი გასცემს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს.

7. მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების ნაწილობრივ დადასტურების შემთხვევაში, უნივერსიტეტი არ გასცემს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

10. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა

1. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ მაძიებლის განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.
2. დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს მაძიებელს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
3. მაძიებლის არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის არაფორმალური განათლების აღიარების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები.

12.1 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
- ბ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს მოდულის კალენდარული გეგმა;
- დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;
- ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;
- ვ) პერიოდულად მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მუშაობის / მომსახურების შეფასება.
- ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.
- თ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;
- კ) ისარგებლოს საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებული სხვა უფლებებით.

12.2 პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- ა) პროფესიული სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა მოდული, რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და ეთიკის კოდექსი, პერიოდულად ეცნობოდეს უნივერსიტეტის შესაბამის სამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები;
- ბ) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
- გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.

12.3 პროფესიული სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

- ა) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;
- ბ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა პროფესიული სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;
- გ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა

13.1 პროფესიული სტუდენტის დატვირთვა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

13.2 კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და შეფასებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და შეფასებას.

მუხლი 14. სწავლის საფასური

14.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2 სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება გასავლელი მოდულების ღირებულების შესაბამისად.

მუხლი 15. კარიერული სერვისები, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა

15.1 სასწავლო პროცესის განმავლობაში პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ეფექტური და კონფიდენციალური მხარდაჭერა.

უნივერსიტეტისაგან პროფესიული სტუდენტისთვის შეთავაზებულია:

- კონსულტაცია პროფორიენტაციაზე – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში გამოყოფილია პერსონალი, რომელსაც ევალება კონსულტაციის გაწევა და რომელიც დაინტერესებულ პირებს ეხმარება, მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
- კარიერის სამსახური - უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფარგლებში მოქმედებს კარიერული განვითარების სპეციალისტი, რომელიც მუდმივად ზრუნავს სტუდენტთა დასაქმებაზე. სასწავლო პროგრამები შექმნილია დამსაქმებლების უშუალო მონაწილეობით. პროფესიული მასწავლებელთა უმეტესობაც მომავალი დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან. მათთან გაფორმებულია მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვანი პროფესიული პრაქტიკის გავლას. ყოველივე ეს ქმნის თითოეული სტუდენტის წარმატებული დასაქმების წინაპირობას. კარიერის სამსახური უწევს კონსულტაციებს და ზრუნავს მათ დასაქმებაზე უნივერსიტეტის დასრულების

შემდეგაც. ყველა კურსდამთავრებული აღირიცხება შესაბამის მონაცემთა ბაზაში. უნივერსიტეტში რეგულარულად ეწყობა დასაქმების ფორუმები, წარჩინებულ სტუდენტებს ეძლევა რეკომენდაციები, რითაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას პარტნიორ ორგანიზაციებში.

- სტაჟირების პროგრამა - უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირების პროგრამას, რომლის მიხედვითაც მათ შეუძლიათ გაიუმჯობესონ შრომითი უნარები.
- საკონსულტაციო მომსახურება - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ფუნქციონირებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებში მომუშავე პირი, არსებულ სტუდენტებს უწევს კონსულტირებას და ეხმარება მათ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.
- პროფესიულ სტუდენტთა წახალისება - უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი სახეები: მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდოს ან/და ფასიანი საჩუქრის გადაცემა.
- სტუდენტთა მომსახურება ფაკულტეტზე – პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი ახორციელებს სტუდენტთა მომსახურებას, გასცემს ინფორმაციას და კონსულტაციებს რეგისტრაციის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, პრაქტიკების, საგამოცდო სესიების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. გასცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას სტუდენტის სტატუსის, აკადემიური მოსწრების შესახებ და სხვ.
- საბიბლიოთეკო სერვისი – უნივერსიტეტში არსებობს ბიბლიოთეკა, რომლის წიგნსაცავში დაცულია სილაბუსების/მოდულების მიხედვით მითითებული ყველა სასწავლო ლიტერატურა, ხელმისაწვდომი ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია ინდივიდუალური სამუშაო მაგიდები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა.
- უკაბელო ინტერნეტი/Wifi – უნივერსიტეტის სამივე სასწავლო კორპუსი უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით.
- სპორტულ-კულტურული ღონისძიებები – უნივერსიტეტში შესაძლებელია გარდა ხარისხიანი განათლების სწავლის პერიოდში სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ტიპის პროექტის, ინტელექტუალური, გასართობი, სპორტული და სხვა ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
- სასადილო – უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასადილო.

მუხლი 16. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

16.1 უნივერსიტეტი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

16.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

16.3 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენებული იქნება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

16.4 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტისათვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვის გზით.